ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური

განცხადების ნომერი: AR1835611
შემოსვლის თარიღი: 06/10/2021

მიწის ნაკვეთ(ებ)ი / ობიექტ(ებ)ი:

- საკადასტრო კოდი: 01.15.06.001.057
- მისამართი: ქალაქი თბილისი , პარკი მთაწმინდა , ნაკვეთი 01/035
- ნაკვეთის დანიშნულება: არასასოფლო სამეურნეო
- ფართობი: 133411.0 კვ.მ
- მესაკუთრე(ები): სსიპ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტი (204521794)

ნომენკლატურა :

- **სარეაბილიტაციო სამუშაოები (დაზვერვა, გაწმენდა, კონსერვაცია, რეკონსტრუქცია, რესტავრაცია, ადაპტაცია, უძრავი ძეგლის ცვლილება)**
- **II კლასი**
- **ძეგლზე ჩასატარებელი სამუშაოები**
- **მშენებლობის ნებართვა**

დამკვეთი - განმცხადებელი:

- ზურაბი წიკლაური პ/ნ 01020005520
- მისამართი: თბილისი მ.ფილიას ქ. N 5

მოთხოვნის ტექსტი:

არქიტექტურული პროექტი მიზნად ისახავს მთაწმინდის პარკში მდებარე ძველი ამორტიზებული ერთსართულიანი ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია რეაბილიტაციას და მასში მოზარდთა შემეცნებით -გასართობი ცენტრის განთავსებას. მიწის ნაკვეთის და სარეკონსტრუქციო შენობის მდებარეობა,აღწერა: სარეკონსტრუქციო შენობა მდებარეობს მთაწმინდის პარკის ცენტრალური შესასვლელის მიმდებარედ (მიწის ნაკვეთის ს/კ 01.15.06.001 .057); ბოლო პერიოდში იგი ადმინისტრაციულ -სამეურნეო ფუნქციის მატარებელი გახლდათ. მრავალჯერადი მიშენება გადაკეთების შემდეგ მან სრულიად დაკარგა პირვანდელი არქიტექტურული იერსახე და ამჟამად იმყოფება სავალალო მდგომარეობაში, რაც რეკონსტრუქცია რეაბილიტაციის გარეშე არ იძლევა მისი რაიმე სხვა ფუნქციით გამოყენების საშუალებას. იგი მოძველდა როგორც მორალურად ასევე ტექნიკური თვალსაზრისით და ვეღარ პასუხობს მთაწმინდის პარკის ექსპლუატაციისთვის აუცილებელ პირობებს და გამოწვევებს. აქედან გამომდინარე გადაწყდა არსებული შენობის რეკონსტრუქცია -რეაბილიტაცია და მისთვის ახალი ფუნქციური დატვირთვის მინიჭება- ბავშვთა და მოზარდთა შემეცნებით-გასართობი ცენტრის სახით. პროექტის შინაარსი და აღწერა : ჩვენს მიერ წარმოდგენილია არსებული ერთსართულიანი ამორტიზებული ადმინისტრაციული შენობის რეკონსტრუქცია- რეაბილიტაციის არქიტექტურული პროექტი, შემდგომში იქ მოზარდთა შემეცნებით-გასართობი ცენტრის განთავსების მიზნით. არსებული შენობა კონსტრუქციულად წარმოადგენს მზიდი კედლების სისტემას (გამოყენებულია: სილიკატური აგური, კერამიკული აგური, ბეტონის მცირე ბლოკი) რომელიც დაფარულია რკინაბეტონის სარტყელით. მას აღმოსავლეთის მხარეს მდებარე ეზოში ქვეშ გააჩნია ნახევარსარდაფის სათავსო, რომელთანაც კავშირი ხორციელდება მხოლოდ ეზოდან არსებული კარის საშუალებით. შენობასთან ნახევრად სარდაფს სხვა კავშირი არ გააჩნია. წარმოდგენილი პროექტი ითვალისწინებს -4.20 ნიშნულზე საგამოფენო გალერეაის, დამხმარე და ტექნიკური სათავსების განთავსებას. 0.00 ნიშნულზე, ძირითადი მზიდი კონსტრუქციების

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური
ბოდიანის ქუჩა N5, 0105 თბილისი, საქართველო
ტელ: (+995 32) 2 77 77 22, ფაქსი: (+995 32) 2 97 12 21
info@tas.ge
www.tas.ge

ნაწილობრივ შენარჩუნების გათვალისწინებით, დაგეგმარებულია შემეცნებით გასართობი ცენტრისთვის აუცილებელი საექსპოზიციო სივრცეები ყველა შესაბამისი დამხმარე სათავსის გათვალისწინებით. პროექტით განსაზღვრულია მეორე სართულის დაშენება არსებულ შენობაზე, სადაც განთავსდება აგრეთვე შემეცნებით-გასართობი საექსპოზიციო სივრცეები დამხმარე სათავსოთი. სახურავზე მოეწყობა მცირე დარბაზი სადაც განთავსდება პლანეტარიუმი-ატრაქციონი აღჭურვილი 3D საპროექციო აპარატურით შემეცნებით - საგანმანათლებლო ფილმების დემონსტრაციისათვის. შენობის ფასადები გადაწყვეტილია თანამედროვე არქიტექტურულ სტილში რომელიც პასუხობს შენობის ახალ ფუნქციურ დანიშნულებას და კარგად ეწერება პარკის ლანდშაპტურ გარემოში. შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე გათვალისწინებულია საბავშვო და მოზარდთა აქტივობებისათვის საჭირო სივრცეების მოწყობა. ესკიზი შეთანხმებულია ქთბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 24,06,2021წ. გადაწყვეტილება N5471997 არსებული შენობის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები: სართულების განაშენიანების ფართობი 854 კვ.მ საერთო ფართობი 641,9 კვ.მ მათ შორის : დერეფანი 72,4 კვ.მ ადმინისტრაციული ფართობი 262,8 კვ.მ დარბაზის ფართობი 73,8 კვ.მ სველი წერტილები 10,4 კვ.მ საზაფხულო ფართობი 89,9 კვ.მ სარდაფი 132,6 კვ.მ სამშენებლო მოცულობა 2663 კუბ.მ შენობის მალის კონსტრ.ელ.სიგრძე 6,41 მ სარეკონსტრუქციო ობიექტის ტექნიკურ ეკონომიკური მაჩვენებლები: სარეკონსტრუქციო შენობის სართულების განაშენიანების ფართი 1672,4 კვ.მ საერთო ფართი 1852.0 კვ.მ მათ შორის : სარდაფი 400.7 კვ.მ ვესტიბიული,ჰოლი და დერეფანი 296,2 კვ.მ შშმპ ამწე ბაქანი 12.8 კვ.მ საგამოფენო ზონა 122,3 კვ.მ შემეცნებითი ზონა 676,3 კვ.მ პერსონალის და დამხმარე ოთახები 136,8 კვ.მ სან.კვანძები 80,8 კვ.მ კიბის უჯრედი 54,5 კვ.მ საზაფხულო ფართი 71,6 კვ.მ სამშენებლო მოცულობა 6023.7 კუბ.მ სარეკონსტრუქციო შენობის მალის კონსტრ.ელ.სიგრძე 6,80 მ კონსტრუქციული სიმაღლე0,00 ნიშნულს ზემოთ შეადგენს 12,4 მ-ს. 0,00 ნიშნულს ქვემოთ შეადგენს 5.3 მ-ს საძირკვლის ტიპი წერტილოვანი. საპროექტო 0,00 ნიშნული შეესაბამება 738.47 აბსოლუტურ ნიშნულს. აგრეთვე მოგახსენებთ რომ, საპროექტო ობიექტზე ჩასატარებელი რეკონსტრუქცია რექბილიტაციის სამუშაოები არ ითვალისწინებს ტერიტორიაზე არსებული ხე-ნარგავების მოჭრა გადარგვას.